პროლეტარეტნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

22 თებერვალი. კვირა, 1987 წ.
№ 37 (9448) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


**დღეს ნომერშია:**


● მუშაობის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნის კარგ მაგალითს იძლევა საქართველოს სპორტსასკოლის მძლეოსნობის სამმართველო — მე-2 გვ.

● ვაჩის უბანში ოგბურთის ეროვნული ბედი კვლავ გაურკვეველია. მე-2 გვ.

● დღეს იწყება ჭადრაკში ა. კარპოვ — ა. ხოკოლოვის ხუპერფინალის მატჩი. მე-3 გვ.

● ფეხბურთის ახალი ამბები. მე-3 გვ.

● სპორტპროგნოზი, კალეიდოსკოპი, „ოქროს ბურთის“ ლაურეატი... მე-4 გვ.


## საინფორმაციო ცნობა

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

**21 თებერვალს** გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მასზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, პარტიის რაიკომების უფლებების მქონე პარტკომების მდივნები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, რომლებიც არ შედიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების, რაიონული და საქალაქო აგროსამრეწველო გაერთიანებების თავმჯდომარეები, დიდი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების წარმომადგენლები.

პლენუმზე განსახილველად გამოტანილი იყო შემდეგი საკითხები: „რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისათვის საქართველოს სს რესპუბლიკისადმი დახმარების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 12 თებერვლის დადგენილების შესაბამისად და მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის ანგარიში 1986 წელს მუშაობის შედეგების შესახებ.

მოხსენება პირველ საკითხზე გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ჯ. ი. პატიაშვილმა.**

იმის გამო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის ანგარიში წინასწარ დარიგდა, იგი არ მოუსმენიათ.

მოხსენებისა და ანგარიშის გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. ე. ჩერქეზია**, თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მშრომელი **ს. კ. ორლოვა**, საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი, პოეტი-აკადემიკოსი **ი. ბ. აბაშიძე**, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ი. ჯ. უბილავა**, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ფ. ხ. სანაკოევი**, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი **კ. ა. კოჩეტოვი**, საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომის პირველი მდივანი **მ. ა. უშხვანი**, საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი **კ. ხ. მამედოვი**, საქართველოს კომპარტიის ლენტეხის რაიკომის პირველი მდივანი **ა. ლ. ტოტოჩავა**, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **რ. ბ. კონცელიძე**, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის მეჩაიე **გ. ბ. გოგიტიძე**, საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **თ. გ. გიორგაძე**, საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი **ვ. ა. ქოჩოიანი**, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრი **ბ. ე. სარალიძე**, საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის პირველი მდივანი **ზ. დ. ერქვანია**, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის უფროსი მონობელი **ვ. ი. არაბიძე**, საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ გენერალური დირექტორი **მ. პ. აფაქიძე**, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრი **ნ. ნ. ნეფედოვი.**

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. მ. სირაძე აირჩია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად.

პლენუმმა გ. ა. ანდრონიკაშვილი გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნისა და მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგის მოვალეობისაგან და გამოიყვანა იგი ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შემადგენლობიდან.

პლენუმმა სკკპ რიგებიდან გარიცხა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის შემადგენლობიდან გამოიყვანა პარტიის ახმეტის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი ზ. გ. მანიკაშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე **ლ. ი. დოროფეევი.**

(საქინფორმი).

# საზეიმო კრება თბილისში

**საქართველოს** დედაქალაქმა ზეიმით აღნიშნა მამულის ერთგულ შვილთა დღესასწაული — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე. 20 თებერვალს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ოფიცერთა სახლში შეიკრიბნენ თბილისის პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბისა და სამმართველოს გენერლები და ოფიცრები, თბილისის გარნიზონის მეომრები, არმიისა და ფლოტის, დიდი სამამულო ომის ვეტერანები.

კრება გახსნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ დ. პ. ლომაიამ.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების გმირული ისტორიის და იმის შესახებ, თუ როგორ ახორციელებენ დღეს სამშობლოს დამცველები პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს, მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ვ. ლ. გულევიჩი.

საზეიმო კრების შემდეგ გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი. (საქინფორმი).

## მოთხილამურე არქიტექტორთა III საერთაშორისო შეხვედრა

# არქიტექტორები ეთხოვებიან ბაკურიანს

ორ დღეს გაგრძელდა „დავა“ მოთხილამურე არქიტექტორთა შორის სკია-ს III ჩემპიონატის გამარჯვებულის საპატიო სახელისათვის. ისინი ჯერ „ტატრაპომას“ ტრასაზე სუპერგიგანტში შეეჯიბრნენ ერთმანეთს, მერე კი კოხტა I-ზე გამართულ სპეციალურ სლალომში.

108 მონაწილე (მათ შორის 28 ქალი) დადგა 1100 მეტრი სიგრძის დისტანციის სტარტზე (სიმაღლეთა სხვაობა 220 მეტრი, 30 კარი).

32 წლის რიგელი არქიტექტორი დაცე ცინე დღემდე ორჯერ იყო ბაკურიანში და ორივეჯერ არქიტექტორთა საკავშირო პირველობის ჩემპიონი გახდა. საერთაშორისო ჩემპიონატშიც ორჯერ მოიპოვა ბრინჯაოს მედალი, ამჯერად კი ამ ტრადიციული შეჯიბრების ვეტერანმა თავიდანვე იმედი გადაუწურა თავის მეტოქეებს ოქროს მედლისთვის ბრძოლაში.

მან ჯერ სუპერგიგანტში გამართული შეჯიბრება მოიგო (1.13,65), მეორე დღეს კი სპეციალურ სლალომში აჯობა ყველას (250 მეტრი, სიმაღლეთა სხვაობა 95 მეტრი, 32 კარი) — 1.23,74. მეორე ადგილზე შესაბამისად პოლონელი ევა ფრანკევიჩი და მოსკოველი ირინა აბაზეევა გავიდნენ, მესამე ადგილი კი ევა ფრანეკმა და კამა რუდნიცკამ დაისაკუთრეს (ორივე — პოლონეთი). ქართველ მოთხილამურეთაგან ყველაზე კარგად დოდო ჯობაძემ იასპარეზა (მე-18 ადგილი).

სამაგიეროდ მასპინძლებმა ვაჟთა ასპარეზობაში გამოიჩინეს თავი. ორივე სახეობაში უძლიერესი იყო „საქალაქპროექტმშენის“ არქიტექტორი. პირველი ტურნირის ჩემპიონი კოტე იაშვილი (1.05,85 და 1.17, 00). სამთო კომბინაციაში ნაჩვენები აბსოლუტურად საუკეთესო შედეგისათვის მას გაზეთ „ლელოს“ სპეციალური პრიზი გადაეცა. საინტერესოა, რომ მისი უფროსი ძმა ზაზა შეჯიბრების პირველ დღეს მეექვსე იყო, მომდევნო დღეს კი — მეოთხე.

საპრიზო ადგილები ორივე სახეობაში პოლონელებმა დაისაკუთრეს მირეკ პოლაკმა ქალაქ კატოვიცედან და იაცეკ გმერეკმა ქალაქ ელენამურადან.

ვაჟთა შეჯიბრებაში ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გაიმარჯვეს: სპეციალურ სლალომში, როგორც მარშანწინ, ამჯერადაც 59 წლის რიგელმა არქიტექტორმა ვისვალდის ბერდზინშმა ისახელა თავი — 1.21,24, სუპერგიგანტში კი 47 წლის ვილნიუსელმა ალვიდას პლატუკისმა გაიმარჯვა — 1.11,48. მათ ცოტათი ჩამორჩა თბილისელი ლევან ლორთქიფანიძე, რომელიც სპეცსლალომში მესამე იყო (1.11,72).

გუშინ ბაკურიანში გაიმართა არქიტექტორთა III საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეთა სათხილამურო კარნავალი, შემდეგ კი ჩატარდა სკია-ს გენერალური ანსამბლეის აღმასკომის შემაჯამებელი სხდომა და შეხვედრის საზეიმოდ დახურვის ცერემონიალი, გადაწყდა, მომდევნო, საკავშირო პირველობა გაისად ალმა-ათაში (ჩიმბულაკი) გაიმართოს, ვარაუდობენ, რომ IV საერთაშორისო ჩემპიონატი, ასევე მომავალ წელს, პოლონეთში ჩატარდება.

**ოთარ ნოზაძე.**
**(„ლელოს“ ხპეც. კორ.).**
ტელეფონით, ბაკურიანი.

• • •

**ხურათებზე: არქიტექტორთა III საერთაშორისო შეჯიბრების ჩემპიონები თბილისელი კოტე იაშვილი (ზევით) და რიგელი დაცე ცინე.**

ნუგზარ ჭარელიხ ფოტოები.

# ცირკის შენობა მაყურებლით აივსო

**თბილისის** ცირკში გრძელდება სოფლებისა და ქალაქების უბნების რესპუბლიკური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. გუშინ გაიმართა სამი შეჯვედრა. პირველად სარბიელზე გამოვიდნენ ბაზალეთის (დუშეთი) და დიღმის (თბილისი) გუნდები. ანგარიშით 8:1 გაიმარჯვეს დუშელმა ფალავნებმა. წოლაჭიელებმაც (მცხეთა) საგრძნობი უპირატესობით მოუგეს თემქის ნაკრებს — 6:3. ყველაზე საინტერესო გამოდგა გიორგიწმინდელთა (საგარეჯო) და ვაყის (ხაშური) მოჭიდავეთა პაექრობა. ამ შეჯვედრაში გამარჯვებული ფინალური ტურნირის საგზურს ისაკუთრებდა, დამარცხებული კი შეჯიბრებას ეთიშებოდა. თავიდან გიორგიწმინდელები დაწინაურდნენ (3:1), მაგრამ შემდეგ ვაყელმა მოჭიდავეებმა იმარჯვეს და ბრძოლაც მათ სასარგებლოდ დამთავრდა — 5:4.

აღსანიშნავია, რომ დღეს თბილისის ცირკი მაყურებლებით გაივსო და შეჯიბრების მთლიანი შემოსავალი — 1850 მანეთი სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული რაიონების მოსახლეობის დახმარების ფონდში გადაირიცხა.

მომავალ შაბათს კიდევ სამი შეხვედრა გაიმართება: ხოვლე (ყასპი) — გლდანი (თბილისი), ციხისუბანი (გორი) — ორთაჭალა (თბილისი), სანიორე (თელავი) — ძველი რუსთავი. შეჯიბრება 12 საათზე დაიწყება.

## ნყალბურთი

**გუშინ მოსკოვსა და ალმა-ათაში დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში. მოსკოვში თბილისის „დინამო“ ხევსატოპოლის კჩფ-ს შეხვდა. გაიმარჯვეს ქართველმა წყალბურთელებმა — 8:7.**

## კალათბურთი

**მოსკოვი.** გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის ერთი მატჩი. გათამაშების ლიდერმა — ცსკა-მ თბილისის „დინამოს“ უმასპინძლა. შეხვედრა მოიგეს არმიელმა სპორტსმენებმა — 111:61 (51:29).

### გარდაქმნა კონკრეტული საქმით იწყება

# სინამდვილესთან პირისპირ

**ᲧᲕᲔᲚᲐᲛ კარგად იცის: მუშაობის გარდაქმნაში მთავარ როლს ადამიანი ასრულებს. მაშასადამე ჯერ მასში უნდა მოხდეს გარდატეხა. ჩვენ უნდა გადავხედოთ ძველი შეხედულებები, ბრძოლა გამოვუცხადოთ შაბლონს, ფორმალიზმს, უწყებრიობას. უნდა ვიზრუნოთ და ვიმოქმედოთ ისე, როგორც დღევანდელი დღე მოითხოვს. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠ ამას ცხოვრებისეული გამოცდილება გვიკარნახებს.**

**გარდაქმნის კურსის მაცოცხლებელი ხიო, ცხადია, ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაშიც იგრძნობა. ამ კურსის სახიკეთო ზეგავლენა საქმეში უკვე ვლინდება, მაგრამ მიღწეული შეიძლება დიდი მიზნისკენ ჩვენი ხვლის მხოლოდ პირველ ნაბიჯად მივიჩნიოთ. ბევრისთვის იოლი არ არის ცხოვრების წესის, ფსიქიკის შეცვლა. სპორტში იოლი ცხოვრების მოყვარულნი ეკვის თ.ვალით უყურებენ გარდაქმნას, ისეთები კი, თამამად, თვითინიციატივით რომ ცდილობენ სიახლეთა დანერგვას, სამწუხაროდ, ჯერ ცოტანი არიან. აი, რატომ გაგვახარა სპორტსახკომის მძლეოსნობის სამმართველოს კრიტიკულმა და ობიექტურმა დამოკიდებულებამ რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის დღევანდელი და ხვალინდელი დღისადმი.**

**მოგეხსენებათ, მძლეოსნობაში მიღწეული წარმატებები ბევრს მატებს რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას, მაგრამ იმის გამო, რომ ფორმალიზმმა და სიყალბემ ჩვენში თავის დროზე ნოყიერი ნიადაგი იპოვა, ერთხანს ყურადღება აღარ ექცეოდა პერსპექტიულ სპორტსმენთა დაოსტატებას. ᲗᲘᲗᲝ-ᲝᲠᲝᲚᲐ მძლეოსნის მიერ ავტორიტეტულ შეჯიბრებებში მოპოვებულ წარმატებებს არ შეიძლებოდა დაეფარა ჩვენს მუშაობაში არსებული ხარვეზები. აქვე უნდა ითქვას, რომ მსგავსი მოვლენები სპორტის სხვა სახეობაშიც შეიმჩნეოდა. მაგრამ საერთო ნაკლზე მსჯელობამ შორს რომ არ წაგვიყვანოს, კვლავ მძლეოსნობის სამმართველოს საქმიანობას დავუბრუნდეთ. დიახ, ძნელი იყო ძველი ჩარჩოებიდან გამოსვლა, მაგრამ სამმართველომ და მისმა თავკაცმა ტარიელ ბახტაძემ შეძლეს ეს. ჩვენ ᲧᲕᲔᲚᲐ ადამიანები ვართ და შეცდომების მითითებისას ტაქტი გვმართებს. ამიტომ ახალ გეზს თავიდანვე კეთილი ხურვილები და მოთხოვნება დაუდო ხაფუძვლად სამმართველომ. არავინ არაფერში აჩქარებულა, მთავარი იყო ადამიანებს, რომელთაც თავის გამოჩენის ხურვილით და საქმისადმი უხულგულო დამოკიდებულებით წარსულში დიდი ზიანი მიაყენეს ჩვენს სპორტს, კერძოდ მძლეოსნობას, შეეგნოთ თავიანთი შეცდომები, შეეგნოთ არა უხეში მითითებით, არამედ თავად გაეხიგრძეგანებიათ საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების დამღუპველი შედეგი. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲔ ამას დრო სჭირდებოდა. სამმართველოს თანამიმდევრული, შეუვალი და პრინციპული პოზიცია ეკავა, რასაც მხარს უჭერდა სპორტსახკომის ხელმძღვანელობა. სიყალბისა და თვალთახვევის ფაქტებისათვის ზოგიერთი მუშაკი, მათ შორის წამყვანი სპეციალისტები და თვით სამმართველოს თანამშრომლებიც საკადრისად დაიხაჯნენ. მაგრამ ეს იყო სამართლიანი განაჩენი, მკაცრი გაფრთხილება.**

**ამას წინათ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით იმაში, რომ მძლეოსნობის სამმართველო დაუღალავად ეძიებს მუშაობის გარდაქმნის გზებს, ღრმად წვდება პრობლემებს. სპორტსახკომის კოლეგიამ სწორედ ამ სამმართველოს ინიციატივით განიხილა სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო სპორტული თამაშებისათვის ჩვენი რესპუბლიკის ნორჩ მძლეოსანთა მზადების საკითხი. ერთი სიტყვით, სამმართველომ გულდასმით შეისწავლა საქმის ვითარება, შეისწავლა არა განკერძოებულად, არამედ კომპლექსურად და მასშტაბურად, პროფესიული ანალიზით. წარმოადგინა სინამდვილე და ისიც, რაც მოჩვენებით კეთილდღეობას ქმნიდა. ამის შემდეგ სპეციალისტებმაც გულახდილად იმსჯელეს სპორტის ამ სახეობაში არსებულ ნაკლოვანებებზე და მდგომარეობის გამოსწორების გზაც დასახეს. დიახ, დღეს სწორედ ასეთი დამოკიდებულება გვჭირდება, გვჭირდება უწინარესად წინსვლისა და მუშაობის გარდასახქმნელად.**

**სპორტსახკომის მძლეოსნობის სამმართველომ უთუოდ კარგი მაგალითი მოგვცა.**

# „ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ“ ᲥᲕᲔᲒᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡ



**ᲕᲘᲡᲐᲪ** უკანასკნელი ათი-თხუთმეტი დღის განმავლობაში თბილისში, ვაკე-საბურთალოს გადასასვლელის მხარეს გაუვლია, უთუოდ შეამჩნევდა კლდიდან მოწყვეტილი ლოდებით ჩახერგილ ჯერ ერთ, შემდეგ მეორე გზას. მგზავრთა უმეტესობა ფრიალო კლდეებზე დაკიდებულ ახალგაზრდებსაც დაინახავდა, მაგრამ ისინი მეკლდეურობაში როდი ვარჯიშობდნენ...

მთამსვლელები და მეკლდეურები ხშირად ეხმარებიან სახალხო მეურნეობის წარმომადგენლებს, დახმარების ხელს უწვდიან განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანებს. თუნდაც ის დიდი სტიქიური უბედურება გავიხსენოთ, რაც სულ ახლახანს დაატყდა თავს ჩვენი რესპუბლიკის ცალკეულ რაიონებს.

ახლა მთამსვლელებსა და მეკლდეურებს დახმარებისთვის კიდევ ერთხელ მიმართეს — ვაკე-საბურთალოს გადასასვლელზე, გზის ორსავ მხარეს აღმართული კლდეები, ბუნებრივი ქვათა ცვენის გამო, მგზავრებისთვის სახიფათო გახდა. საჭირო შეიქნა კლდეების გასუფთავება. დახმარება საქართველოს ალპიურ კლუბს სთხოვეს. საქმეში ჩაება ათამდე მთამსვლელი და მეკლდეური. სპორტის დამსახურებული ოსტატი აკაკი ხერგიანი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი ჯემალ ქელეხსაშვილი, საქართველოს ალპიური კლუბის ინსტრუქტორები და წევრები ემზარ ალავერდაშვილი, თამაზ ახალბედაშვილი, ვაჟა ბერუაშვილი, რევაზ ტვილდიანი, იგორ კოვალიოვი, სანდრო კობაიძე და იური ბალაევიჩი, ორი კვირის განმავლობაში ყრიდნენ კლდიდან, მთამსვლელთა ენაზე რომ ვთქვათ, „ცოცხალ“ ქვებს. რამდენიმე ვეება ლოდის მოსანგრევად დომკრატების გამოყენებაც დასჭირდათ.

ყოველივე ამის შედეგად ვაკე-საბურთალოს გადასასვლელზე აღმართულ კლდეებზე „ცოცხალი“ ქვა აღარ დარჩენილა.

მგზავრებისთვის აქ კვლავ მწვანე შუქი ანთია.

**ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲭᲥᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ.

# ᲠᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲓᲐᲕᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ?

### ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲡ

ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ განცხადება, რომელიც რედაქციაში გასულ პარასკევს მივიღეთ თბილისის ვაზისუბნის IV მიკრორაიონის მცხოვრებლებისგან, მკითხველისათვის ცნობილ და საკმაოდ გახმაურებულ ამბავს შეეხება. გახსოვთ ალბათ: „ᲚᲔᲚᲝᲡ“ 15 იანვრის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი სათაურით „ᲯᲔᲠ ᲘᲖᲔᲘᲛᲔᲑ, ᲛᲔᲠᲔ...“, რომელშიც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ვაზისუბანში 1985 წელს გაშენებულ კეთილმოწყობილ ჩოგბურთის მოედანს მშენებლები დასანგრევად მიადგნენ.

გაზეთის გამოსვლის შემდეგ საქმუშაოები შეწყდა. ოპერატიულად მივიღეთ პასუხი 26 კომისრის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომიდან, მაგრამ ამ პასუხში მოსახლეობისთვის სანუგეშო ბევრი არაფერი იყო. **„1986 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲣᲚᲓᲐᲒᲔᲒᲛᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ ᲠᲐᲘᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲙᲝᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲨᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗᲗᲕᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ — ᲒᲕᲬᲔᲠᲡ ᲠᲐᲘᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ა. ᲒᲝᲜᲒᲚᲐᲫᲔ“.** ამ საქმეში კონრეტულ დამნაშავედ რაიონის ყოფილი არქიტექტორი დ. მაჭავარიანი უცვნიათ.

ეს პასუხი, ცხადია, მოსახლეობასაც გააცნეს. ამის შემდეგ დროდადრო ისევ ჩნდებიან თურმე ვიღაც-ვიღაცეები კორტების დასანგრევად, მაგრამ მოსახლეობა არ ანებებს მათ ნორჩების სარბიელის მოშლას. მდგომარეობა დაიძაბა. სამართლიან კითხვებს სვამენ მობინადრენი: **„თუ მართლა ხაცხოვრებელი სახლები უნდა აშენდეს ამ ადგილზე, რატომღა ხარჯავდნენ 15 ათას მანეთს კორტების მოსაწყობად?“, „ხომ შეიძლება კორტები არ დაანგრიონ და კორპუსები სხვაგან ჩადგან?“, „ხომ არ ირღვევა სანიტარული ნორმები კორპუსების ერთმანეთზე მიჯრით, ან როცა ეს მიკრორაიონი გაშენდა, რატომ მაშინვე არ გაითვალისწინეს სპორტული და ბავშვთა გახართობი მოედნები?“** და ა. შ. არ დავმალავთ, მოსახლეობა ეჭვს გამოთქვამს, რომ თავიდან იმ ადგილზე არ იყო გათვალისწინებული კორპუსების აშენება და ეს გადაწყვეტილება (თუ, რა თქმა უნდა, ასეთი არსებობს) გვიანაა მიღებული მოსახლეობის ინტერესების გაუთვალისწინებლად. მართლაც **განა შეიძლებოდა, რომ რაიონის არქიტექტორს, რაიონის ხელმძღვანელებს არ ცოდნოდათ, სად აწყობდნენ ჩოგბურთის კორტებს? ქალაქში ასე ჰაიჰარად ვინ დაეპატრონება თავისუფალ ადგილს.** ამ კითხვებზე მოსახლეობა და ჩვენი რედაქციაც დასაბუთებულ პასუხს მოელიან.

დაბოლოს, გვინდა საუბარი ამ თემაზე დავასრულოთ იმ 50 ოჯახის მიმართვით, რომლებიც ხელს აწერენ რედაქციაში შემოსულ ახალ წერილს: „თხოვნით მივმართავთ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ვისაც ამ საქმის მოგვარება ეხება, ნუ დავტოვებთ უყურადღებოდ ჩვენს სამართლიან მოთხოვნას, შეგვინარჩუნონ ჩოგბურთის კორტები, რომლებიც ასე შეიყვარეს ჩვენმა შვილებმა“.

### ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘᲓᲐᲜ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ...

# ᲜᲝᲠᲩᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ

**ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ** ბაღი პატარების აღზრდის, გონებრივი და ფიზიკური განვითარების, მათი გართობისა და დასვენების ძირითადი კერაა, რადგან ნორჩები თითქმის მთელ დღეს აქ ატარებენ.

დღეს თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებასთან არსებული მე-8 საბავშვო ბაღის შესახებ მოგითხრობთ.

ამ ბაღში, რომელსაც გაერთიანების ადმინისტრაცია შეფობს, ძირითადად ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეების ბავშვები დადიან. ბაღის გამგე ნანა აბაშიძე და ფაბრიკის მთელი კოლექტივი ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ აკეთებენ იმისათვის, რომ შინიდან მოსულმა პატარებმა თავი კარგად იგრძნონ და კარგად დაისვენონ. აქ შესაფერისი გარემოა შექმნილი ნორჩებისათვის: სიმღერა, ცეკვა-თამაში, ძერწვა, ლექსები.... აბა, რა მოაწყენთ პატარებს, მაგრამ ბავშვებს ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ მეტად მაინც ფიზკულტურის გაკვეთილი აბარებთ, ისინი ხალისით ასრულებენ დილის გამამხნევებელ ვარჯიშს. ფიზკულტურის გაკვეთილი სპეციალურად მათთვის შერჩეული კომპლექსური ვარჯიშებით ბავშვებს კვირაში ორჯერ უტარდებათ.

ნორჩების განკარგულებაშია კეთილმოწყობილი ფიზკულტურის დარბაზი. იმ დღესაც, როცა ბაღს ვეწვიეთ, ბავშვებმა ერიამულით მიაშურეს ფიზკულტურის დარბაზს, შემდეგ სიმაღლეზე დაეწყვნენ და სპორტული მარშით შემოვიდნენ დარბაზში, მერე მუსიკის თანხლებით შეასრულეს ვარჯიშები. დრო გადიოდა, მაგრამ პატარებს დაღლა არ ეტყობოდათ, ის კი არა და, ვარჯიშის შემდეგ ხალისით ჩაებნენ სპორტულ თამაშებში და როცა გამოუცხადეს თამაში დამთავრებულიაო, მხოლოდ მაშინ მოიწყინეს.

—ძალიან უყვართ ფიზკულტურის საათი, — გვითხრა აღმზრდელმა ვენერა ცუცქირიძემ. — ამიტომაც ვაწყობთ ხშირად სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებს, ზეიმებს, მხიარულ შეჯიბრებებს და თამაშებს. კვარტალში ერთხელ ᲔᲬᲧᲝᲑᲐ ჯანმრთელობის დღე. ჯანმრთელობის დღეებში და არდადეგების დროს ვაწყობთ ისეთ მეცადინეობებს, რომელიც გონების დაძაბვას არ მოითხოვს.

ამ საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს ხშირად ნახავთ ტყეში, ტურისტულ ბილიკებზე და ლენინური კომკავშირის სახელობის საცურაო აუზში. ეს ღონისძიებები მშობელთა კომიტეტების თაოსნობითა და მათი მონაწილეობით ტარდება.

საბავშვო ბაღს საკუთარი აგარაკიც აქვს მანგლისში. იქ ბავშვები მთელი ზაფხულის განმავლობაში იკეთებენ ჯანრთელობას.

მაგრამ, სამწუხაროდ, ბაღი არატიპურ შენობაში, პირველ სართულზეა მოთავსებული — ზემოთ საცხოვრებელი ბინებია. ეს გარკვეულ სიძნელეებს ქმნის. წინათ განიერ, ფართო ეზოში პატარები თავს უფრო ლაღად და თავისუფლად გრძნობდნენ. შემდეგ ეზოს დიდი ნაწილი გინეკოლოგიის ინსტიტუტმა დაიკავა, თუმცა... სივიწროვის მიუხედავად ბავშვებს ეზოში აქვთ ჯანმრთელობის ბილიკი, სასრიალო, საქანელა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, ცხადია, მეტი გასართობის მოწყობა შეიძლებოდა.

ახლა აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ნაწილი ავჭალის გზატკეცილზე გადავიდა. მომავლისათვის განზრახულია მთელი საწარმოო გაერთიანება იქ მოთავსდეს, მის ბაზაზე არსებული საბავშვო ბაღიც ავჭალის გზატკეცილზე გადაინაცვლებს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აქედანვე გაითვალისწინებენ ძველ პრობლემებს და პატარებსაც ახალ სამფლობელოში უფრო ხელსაყრელი პირობები შეექმნებათ.

**ᲛᲔᲓᲔᲐ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲐ.**



**ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲮᲔᲓᲐᲕᲗ ᲜᲝᲠᲩᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲡ ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲣᲣᲑ (ᲖᲔᲓᲐ ᲤᲝᲢᲝ) ᲓᲐ ᲓᲐᲑᲐ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲔᲑᲨᲘ.**

# საფეხბურთო სეზონის წინ

**საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველომ დაადგინა 1987 წლის რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილე II ჯგუფის გუნდების განაცხადების მიღების გრაფიკი.**

**26 თებერვალს** განაცხადები უნდა წარადგინონ შემდეგმა გუნდებმა: „სინათლე“-„სპორტინტერნატი“ (თბილისი), სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი), საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი), საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი), „ფოსტამტი“ (თბილისი), „ოვერია“-35 (თბილისი), მუხრანის საცდელი მეურნეობა, „სამგორი“ (გარდაბანი).

**27 თებერვალი.** „მეტალისტი“ (რუსთავი), „მშენებელი“ (რუსთავი), „ქიზიყი“ (სოფლაღი), „ბახტრიონი“ (ახმეტა), „გარეჯი“ (საგარეჯო), „ალაზანი“ (გურჯაანი), „შირაქი“ (წითელი წყაროო), „განთიადი“ (კასპი).

**2 მარტი.** „მესხეთი“ (ახალციხე), „ალგეთი“ (მარნეული), „ბოლნელი“ (ახალქალაქი), „თრიალეთი“ (წალკა), „გარისი“ (თეთრი წყაროო), „ლიახვი“ (ცხინვალის რ-ნი), „განთიადი“ (დმანისი), „ვარძია“ (ასპინძა).

**3 მარტი.** „ზარზმა“ (ადიგენი), „მარაბდა“ (კოდა), „ავტომობილისტი“ (გორი), „მეავეჯე“ (ახალდაბა), „ფარავანა“ (ბოგდანოვკა), „თორი“ (ბორჯომი), „კოლმეურნე“ (მარნეულის რ-ნი), „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი).

**4 მარტი.** „ქვემო ალვანი“ (ახმეტის რ-ნი), „მაღაროელი“ (ჭიათურა), „მშენებელი“ (ჭიათურა), „იბერია“ (ქარელი), „კოლმეურნე“ (ტყიბული), „იმერეთი“ (წულუკიძე), „ჩიხურა“ (საჩხერე), პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი).

**5 მარტი.** „ზანა“ (აბაშა), „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე), „მეტალურგმშენი“ (ზესტაფონი), ხის დამამუშავებელი კომბინატი (სამტრედია), „მეშახტე“ (აგარა), „ბახმარო“ (ჩოხატაური), „მზიური“ (გალი), „ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი).

**6 მარტი.** „ნარინჯი“ (ქობულეთი), „ჩიბათი“ (ლანჩხუთი), „დვაბზუ“ (მახარაძე), „ალიონი“ (გალის რ-ნი), „ოლხეთმშენი“ (ფოთი), „განთიადი“ (ცხაკაია), „მეშახტე“ (ტყვარჩელი), „კოლმეურნე“ (გაგრა).

**9 მარტი.** „ნარინჯი“ (გონიო), „სუბტროპიკი“ (სოხუმი), „დინამო-2“ (ბათუმი), „ნაპერწკალი“ (ოქუმი), „დარჩელი“ (ზუგდიდის რ-ნი), „ხვამლი“ (ცაგერი), უნივერსიტეტი (სოხუმი), „ჰერეთი“ (ლაგოდეხი).

**10 მარტი.** „არაგვი“ (დუშეთი), „საირმე“ (მაიაკოვსკი), „ჭოგნარი“ (თერჯოლა), „კოლმეურნე“ (ონი), „ქიმიკოსი“ (ამბროლაური), „ავტომობილისტი“ (ბათუმი).

# ᲡᲣᲞᲔᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ



ᲮᲕᲐᲚ, 28 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ, ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲚᲘᲜᲐᲠᲘᲡᲨᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲡᲣᲞᲔᲠᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲙᲐᲠᲐᲠᲝᲕᲩᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲓᲠᲔᲘ ᲡᲝᲙᲝᲚᲝᲕᲩᲘ ᲨᲝᲠᲘᲡ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გ. კასპაროვსა და ა. კარპოვს შორის გამართული სამი უდიდესი და მეტად საინტერესო მატჩის შემდეგ ძნელია ჭადრაკის მოყვარულთა რითმი გაკვირვება, მაგრამ ამ მატჩისადმი ინტერესი მაინც დიდია.

პირველად ჭადრაკის ისტორიაში, ორი საბჭოთა მოჭადრაკე მატჩს მთლიანად საზღვარგარეთ ითამაშებს. ამ მატჩისათვის მზადებას ლინარისი დიდი ხანია შეუდგა. მე ხშირად აღმინიშნავს, რომ ესპანეთში ჭადრაკისადმი ინტერესი მეტად დიდია და საერთაშორისო ტურნირები ბევრ ქალაქში იმართება, მაგრამ საკურორტო ქალაქი ლინარისი ყველასგან გამოირჩევა. აქ ორ წელიწადში ერთხელ იმართება დიდი სუპერტურნირი. და აი, წელს ამ ტურნირების ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს პრეტენდენტთა სუპერფინალური მატჩისათვის ემასპინძლათ. მიწვევა ორივე მოჭადრაკემ სიამოვნებით მიიღო, რითაც მატჩის ორგანიზატორებისა და ესპანეთის ჭადრაკის მოყვარულთა სიმპათია წინასწარ დაიმსახურეს.

მეტოქეები 14 პარტიას ითამაშებენ. გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც 7,5 ქულას მოაგროვებს.

ანდრეი სოკოლოვი იმ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელია, რომელმაც ასე ენერგიულად შეუტია საჭადრაკო ტახტს. ის ერთი წლით უმცროსია მსოფლიოს ახლანდელ ჩემპიონზე — 20 მარტს ესპანეთში შეუსრულდება 24 წელი. ძნელია ილაპარაკო იმ ახალგაზრდა მოჭადრაკეზე, რომელმაც ყველა პროგნოზი „დაამსხვრია“ და, თავისი დღევანდელი მეტოქის მსგავსად, ერთი შეტევით ყველა ზღუდე გადალახა. უკვე მოასწრო საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდების მოპოვება, საბჭოთა ნაკრების გუნდთან ერთად გაიმარჯვა მსოფლიოს პირველ გუნდურ პირველობაში და გასული წლის ბოლოს დუბაიში ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა. ანდრეი სოკოლოვზე ბევრი ქების სიტყვა ითქვა, განსაკუთრებით მისი გამარჯვებების შემდეგ რ. ვაჭანიანთან და ა. იუსუპოვთან გამართულ მატჩებში. ამიტომ მის მიერ წარმატებით ნათამაშევ ტურნირებს სათითაოდ აღარ ჩამოვთვლი, ვიტყვი მხოლოდ, რომ მან გადალახა ყველა დაბრკოლება და ჯერჯერობით დამსახურებულად ატარებს მსოფლიოს მესამე მოჭადრაკის სახელს. თუ რატომ ვიხმარე სიტყვა „ჯერჯერობით“, ამას ახსნა ჭირდება. ა. სოკოლოვი თავის თავში მეტად დაჯერებული მოჭადრაკეა და მას არც ერთი მეტოქის არ ეშინია. ამაში ერთხელ კიდევ მაშინ დავრწმუნდი, როდესაც მან იუსუპოვთან ფინალურ მატჩში გამარჯვების შემდეგ, ერთ-ერთ ინტერვიუში მიცემულ შეკითხვაზე, თუ ვისთან ერჩია თამაში პრეტენდენტთა სუპერფინალურ მატჩში, ყოველგვარი თავდაჭერისა და დიპლომატიის გარეშე არაორაზროვნად უპასუხა: „ჩემთვის სულ ერთია კასპაროვი იქნება ის თუ კარპოვი, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ ორივესთან მომიწევს თამაში“. ეს იმაში გვარწმუნებს, რომ სოკოლოვი მაშინ არ თვლიდა თავის თავს ნომერ მესამე მოჭადრაკედ და სულ მცირე კიდევ ერთი მატჩის მოგების მაინც აპირებდა.

ა. სოკოლოვის მწვრთნელია საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ი. იურკოვი, რომელიც 12 წელიწადია მასთან მუშაობს. ისინი შესანიშნავად უგებენ ერთმანეთს. ამ მატჩში მოჭადრაკეების ნება დართეს იყოლიონ სამი მწვრთნელი, ამიტომ სოკოლოვმა დამატებით მიიწვია ქართველი სპორტის მოყვარულებისთვის კარგად ცნობილი მწვრთნელები: დიდოსტატი გ. კუზმინი და ოსტატი ს. იუფეროვი, რომლებიც ხშირად ეხმარებიან მსოფლიოს ჩემპიონს ქალთა შორის მაია ჩიბურდანიძეს. დიახ, გენდი კუზმინი დღესაც მაიას მწვრთნელია.

მიუხედავად ა. სოკოლოვის დიდი წარმატებებისა, ამ მატჩში ფავორიტად მაინც მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი მიმაჩნია. არ ვილაპარაკებ მის დამსახურებაზე ჭადრაკში, ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა, მხოლოდ იმას გავუსვამ ხაზს, რომ 35 წლის კაცი ათი წლის განმავლობაში მსოფლიოს ჩემპიონი იყო, რაც ძალიან ბევრს ნიშნავს. ისევე როგორც ა. სოკოლოვს, ა. კარპოვსაც სამი მწვრთნელი ეყოლება. დიდოსტატი ი. ზაიცევი, რომელიც მას 1975 წლიდან ეხმარება, საერთაშორისო ოსტატი მ. პოდგაეცი და ქართველი მოჭადრაკე, საერთაშორისო ოსტატი ელიზბარ უბილავა. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს ა. კარპოვის მეგობრობაზე ქართველ მოჭადრაკეებთან. იგი ყველა საპასუხისმგებლო მატჩის წინ ჩვენს რესპუბლიკაში ემზადებოდა და ხშირად ლაპარაკობს თავის გულთბილ დამოკიდებულებაზე საქართველოსადმი. მართალია, ამჯერად ჩვენთან ვერ ჩამოვიდა, მაგრამ იმედი გამოთქვა, რომ გ. კასპაროვთან შემდეგი მატჩისთვის მზადების დროს კვლავ ეწვევა ჩვენს რესპუბლიკას. ასე რომ, მას სჯერა გამარჯვების.

ამ მატჩის შესახებ დუბაიში მსოფლიოს მეთერთმეტე და მეცამეტე ჩემპიონებს ბ. სპასკის და გ. კასპაროვს ვესაუბრე. ორივემ აღნიშნა, რომ მატჩი ა. კარპოვმა უნდა მოიგოს, თან დასძინეს, ეს გამარჯვება იოლად არ მოვა, ბრძოლა მეტად დაძაბული იქნებაო.

მატჩისათვის ორივე პრეტენდენტი ერთნაირი გულმოდგინებით ემზადებოდა. ოლიმპიადის შემდეგ მათ უარი თქვეს ტურნირებში მონაწილეობაზე და თეორიულ მზადებას დაუთმეს დიდი დრო.

ა. კარპოვი მადრიდში 16 თებერვალს ბრიუსელიდან (აქ ფიდეს კონგრესი ჩატარდა) ჩავიდა, ხოლო ა. სოკოლოვი და საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრები მადრიდს 20 თებერვალს გაემგზავრნენ. მატჩის მთავარ არბიტრად დანიშნულია ესპანელი ე. მედინა.

ბოლოს მინდა ორიოდე სიტყვა ჩემს გეგმებზეც ვთქვა. ჩემი მუშაობა ესპანეთის ნაკრებ გუნდთან წელსაც გაგრძელდება. ესპანეთის ჭადრაკის ფედერაციამ გადაწყვიტა პირველი შეკრება ლინარისში, მატჩის პერიოდში გამართოს, 27 თებერვალს ესპანეთში მივემგზავრები. ლინარისში შეკრებაზე რვა ესპანელი მოჭადრაკეა მოწვეული და იმედი მაქვს, რომ მათთან ერთად მეტად საინტერესო მატჩის მოწმე გავხდები.

**თამაზ გიორგაძე,**
**საერთაშორისო დიდოსტატი.**

# ᲕᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲗ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲡ

საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოსა და ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის კომისიები განაგრძობენ იმ სტადიონების შემოწმებას, სადაც წლეულს უნდა გაიმართოს საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩები.

შემოწმებამ გამოავლინა, რომ გაგრის ცენტრალური სტადიონი, სამწუხაროდ, მზად არ არის ახალი სეზონისთვის, თუმცა, კალენდარულ შეხვედრათა დაწყებამდე მცირე დროა დარჩენილი.

ეს სტადიონი დიდი ხანი არაა, რაც მწყობრში ჩადგა რეკონსტრუქციის შემდეგ, ახლა კი იქ კვლავ მნიშვნელოვანი ხასიათის სამუშაოებია ჩასატარებელი. კომისიამ დაადგინა, რომ მზად არ არის სათამაშო მინდორი, მოუწყობელია საშხაპეები, სპორტსმენთა გასახდელები, ერთობ ანტისანიტარიულ მდგომარეობაშია საპირფარეშო. ქ. გაგრის სტადიონის კეთილმოწყობა უახლოეს დროში უნდა დამთავრდეს. კომისიამ დამაკმაყოფილებლად სცნო დაბა ალახადის „დინამოს“ სტადიონი, რომელიც ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს.

რესპუბლიკური გათამაშების დაწყებისთვის მზად არ არის ზუგდიდის სტადიონიც. აქაური სპორტკომიტეტის თხოვნით ზუგდიდელმა ფეხბურთელებმა პირველი 3 კალენდარული მატჩი სტუმრად უნდა ჩაატარონ, მარტის ბოლოსთვის კი, მათი რწმუნებით, ზუგდიდის სტადიონი მზად იქნება.

ვერ აკმაყოფილებს დებულების მოთხოვნებს ოჩამჩირის სტადიონი, კერძოდ, სათამაშო მინდორი. შესაღები და გასარემონტებელია გასახდელები.

კარგად იმუშავეს წალენჯიხაში, აქაური სტადიონი მზად არის მიმდინარე სეზონისთვის.

რესპუბლიკის საფეხბურთო ბაზების შემოწმება გრძელდება.



## „ᲑᲝᲚᲐ ᲮᲣᲜᲘᲝᲠᲡᲘ“ — „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ 2:2

არგენტინაში მიმდინარე საფეხბურთო ტურნირზე—„მარ-დელ-პლატას თასი“ მოსკოვის სპარტაკელებმა მეორე მატჩი გამართეს ამ ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან „ბოლა ხუნიორსთან“. თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

## „ᲤᲠᲐᲜᲡ ᲤᲣᲢᲑᲝᲚᲘᲡ“ ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ

ცნობილი ფრანგული ყოველკვირეული ჟურნალი „ფრანს ფუტბოლი“ ყოველ წელიწადს ადგენს ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ეროვნული გუნდების ტრადიციულ კლასიფიკაციას, „ფრანს ფუტბოლის“ ანკეტა ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულად ითვლება.

1986 წლის შედეგების მიხედვით „ფრანს ფუტბოლის“ კლასიფიკაცია ასეთია: 1. ესპანეთი, 2. ინგლისი, 3. გფრ, 4. საფრანგეთი, 5-6. სსრ კავშირი, იტალია, 7-8. ბელგია, დანია, 9. შვეიცარია, 10. ჩეხოსლოვაკია, 11. ბულგარეთი, 12. რუმინეთი, 13-14. ავსტრია, ჰოლანდია, 15-17. შვეიცარია, ნორვეგია, იუგოსლავია, 18-19. უელსი, შოტლანდია, 20-21. ირლანდია, საბერძნეთი, 22-23. პოლონეთი, პორტუგალია, 24-26. გდრ, უნგრეთი, ისლანდია, 27-28. ჩრ. ირლანდია, ფინეთი, 29. თურქეთი, 30. კიპროსი, 31-33. მალტა, ლუქსემბურგი, ალბანეთი.

## ᲯᲐᲠᲘᲛᲐ 7.690 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირი ხშირად მიმართავს მკაცრ სანქციებს იმ კლუბების მიმართ, რომელთა გულშემატკივრები უდიერად იქცევიან თამაშის დროს. ასეთ შემთხვევებში სტადიონებს დისკვალიფიკაციას აძლევენ და მსჯავრდებულ კლუბებს სხვა ქალაქებში უხდებათ თამაში.

სულ ახლახან უეფა-მ კვლავ მიმართა სანქციას, ამჯერად შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსის“ მიმართ. 10 დეკემბრის მატჩში უეფა-ს თასზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ბორუსიასთან“ შოტლანდიელი ფეხბურთელები უხეშობდნენ, დაურიდებლად არღვევდნენ წესს, არბიტრიც იძულებული შეიქნა მინდვრიდან გაეძევებინა ორი მოთამაშე, რომლებმაც განზრახ მიაყენეს ტრავმა „ბორუსიის“ მოთამაშეებს.

„გლაზგო რეინჯერსი“ დაჯარიმეს 7.690 დოლარით, ეს ყველაზე დიდი თანხაა, რომლითაც კი დაუჯარიმებიათ კლუბები ევროპული თასების ტურნირებზე.

## ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

### ᲖᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ

ცხინვალში გაიმართა მოსწავლეთა ორი ზონალური ტურნირი მინი ფეხბურთსა და კალათბურთში, რომლის გამარჯვებულები, შესაბამისად, გაზეთების — „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და „მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზებისათვის იბრძოლებენ ფინალში.

ფეხბურთში დასკვნითი შეხვედრებისაკენ გზა გაიკაფა ცხინვალის მე-5 საშუალო სკოლის ნაკრებმა.

კალათბურთელ გოგონათა პრიზისათვის ბრძოლას გააგრძელებენ ცხინვალის მეცხრე სკოლელები, ჭაბუკებში კი ფინალში გავიდნენ ლენინგორის მეორე საშუალო სკოლის წარმომადგენლები.

**ლ. სუბელიანი,**
**ჩვენი საკ. კორ.**

ცხინვალი.

### ᲠᲐᲘᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს მიეძღვნა ყვარლის „კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირველობა მინიფეხბურთში ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის.

გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „სახკომმშენისა“ და რაისაავადმყოფოს გუნდები. ანგარიშით 8:3 გაიმარჯვა „სახკომმშენმა“. მესამე ადგილი დაიკავეს ყვარელგაზის კანტორის ფეხბურთელებმა.

**თ. წიწრიაშვილი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲐᲡᲣᲯᲠᲔᲓᲘᲐᲜ ᲨᲐᲨᲨᲘ

## ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ

**ᲓᲐᲣᲒᲐᲕᲠᲘᲚᲘ** (ლატვია), 21 თებერვალი (დეპეშით, „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი). გრძელდება სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირი 100-უჯრედიან შაშში. VII ტურში საინტერესოდ წარიმართა შეჯიბრების ლიდერის, ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის, რიგელი საერთაშორისო ოსტატის ტუნდის ვალერისის შეხვედრა თბილისელ ოსტატ ჯუმბერ ბერიშვილთან. ქართველი ჭაბუკი მთელი პარტიის მანძილზე საგრძნობ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ მოსაგებ პოზიციაში ხელიდან გაუშვა შანსი და მეტოქეს ყაიმზე შეუთანხმდა. კორენევსკის მოუგო ბერნისს, ი. ერმაკოვმა შავებით მოგილიანსკი დაამარცხა. დანარჩენი პარტიები ყაიმით დამთავრდა.

7 ტურის შემდეგ ჩემპიონატს ორი ლიდერი ჰყავს — ტუნდის ვალერისი და მიხაილ კორენევსკი (ლენინგრადი) — 4,5-4,5 ქულა. 4-4 ქულა მოაგროვეს ალექსეი ჩიჟოვმა (უსტინოვი), ალექსეი ვერხოვიხმა (კალინინი), ვადიმ ვირნინ (ხარკოვი) და იური ერმაკოვმა (მოსკოვი). ჯუმბერ ბერიშვილი 3,5 ქულით VII-XI ადგილებს იყოფს.

**ᲐᲠᲢᲣᲠ ᲑᲝᲘᲮᲛᲐᲜᲘ.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲨᲘ

## ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘ—ᲛᲪᲘᲠᲔ ᲩᲝᲒᲜᲘᲗ

**ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ** გამართული მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობა, რომელშიც აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, გურჯაანის, თელავისა და ბორჯომის 40-მდე მოსწავლე გამოდიოდა, მიზნად ისახავდა რესპუბლიკის ნაკრები გუნდისათვის საუკეთესო ჩოგბურთელთა შერჩევას, რომლებიც წელს თელავში სპორტული სკოლების საკავშირო ტურნირში იასპარეზებენ. შეჯიბრებისადმი ცხოველი ინტერესი სწორედ ამან განაპირობა და ნორჩი სპორტსმენები თავგამოდებით იბრძოდნენ.

გოგონებში გაიმარჯვა აფხაზეთის წარმომადგენელმა ო. ჩაჩავამ. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ თბილისელი ვ. ტომაევა (თბილისი) და აჭარელი ე. ნიკოლაიშვილი.

ჭაბუკთა ტურნირში სამივე საპრიზო ადგილი თბილისელებმა მოიპოვეს: 1. ა. ფომინოვი, 2. გ. ბახტაძე, 3. ა. შევჩუკოვი.

**ᲚᲔᲕᲐᲜ ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ.**

# სტარტზეა სპორტპროგნოზი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. კალათბურთი. ვეფ (რიგა) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი), | 28. II. | 1. | 10 | 0 | 90 |
| 2. კალათბურთი. ცსკა — „უალგირისი“, | 1. III. | 2. | 80 | 20 | 0 |
| 3. კალათბურთი. „დინამო“ (თბილისი) — ვეფ, | 4. III. | 3. | 80 | 0 | 20 |
| 4. ჰოკეი. „კრილია სოვეტოვი“ — „ხიმიკი“, | 2. III. | 4. | 60 | 30 | 10 |
| 5. ჰოკეი. „ტორპედო“ (გორკი) — „სპარტაკი“, | 2. III. | 5. | 10 | 20 | 70 |
| 6. ბურთიანი ჰოკეი. „ზორკი“ — ახკ (ხაბაროვსკი), | 2. III. | 6. | 90 | 0 | 10 |
| 7. ბურთიანი ჰოკეი. „დინამო“ (მოსკოვი) — „ენისეი“, | 2. III. | 7. | 20 | 20 | 60 |
| 8. ბურთიანი ჰოკეი. „სტროიტელი“ (სიქტივკარი) — „დინამო“ (ა-ათა), | 2. III. | 8. | 30 | 10 | 60 |
| 9. ფეხბურთი. „ბეშიქთაში“ (თურქეთი) — „დინამო“ (კიევი), | 4. III. | 9. | 10 | 30 | 60 |
| 10. ფეხბურთი. „ბორდო“ (საფრანგეთი) — „ტორპედო“ (მოსკოვი), | 4. III. | 10. | 40 | 10 | 50 |
| 11. ფეხბურთი. „ცრვენა ზვეზდა“ (იუგ.) — „რეალი“ (ესპანეთი), | 4. III. | 11. | 40 | 20 | 40 |
| 12. ფეხბურთი. „ბავარია“ (გფრ) — „ანდერლეხტი“ (ბელგია), | 4. III. | 12. | 100 | 0 | 0 |
| 13. ფეხბურთი. „მალმიო“ (შვეცია) — „აიაქსი“ (ჰოლანდია), | 4. III. | 13. | 20 | 50 | 30 |

**ბუშინ, ახალი სპორტული ლოტორეის — „სპორტპროგნოზის“ ბარათების გაყიდვა დაიწყო „სპორტლოტოს“ კიოსკებში.**

## სპეციალისტთა აზრით

სპეციალისტთა პროგნოზები თამაშის მოყვარულთ ამა თუ იმ წყვილის შედეგის ამოცნობაში დაგვეხმარება. აქვე მოტანილ ცხრილში პროგნოზები პროცენტულად არის გამოსახული. წარმოიდგინეთ, რომ შედეგის ამოცნობაში მონაწილეობს 10 სპეციალისტი. პირველი წყვილის (რიგის ვეფ-ი და ლენინგრადის „სპარტაკის“ კალათბურთელთა მატჩი, რომელიც 28 თებერვალს გაიმართება) შეხვედრაში ერთმა სპეციალისტმა (ცხრილის მიხედვით ერთი სპეციალისტის პროგნოზი 10 პროცენტს უდრის) უპირატესობა ვეფ-ს მიანიჭა. 9 სპეციალისტმა კი (90 პროცენტი) ლენინგრადის „სპარტაკს“. ძირითადი დროის ფრედ დამთავრება არც ერთ სპეციალისტს არა აქვს აღნიშნული. ამიტომ შუა გრაფაში, როგორც ხედავთ, ნოლია გამოყვანილი.

მეორე ვარიანტი მე-13 წყვილის (შვეციის „მალმიოსა“ და ჰოლანდიის „აიაქსის“ ფეხბურთელთა შეხვედრა, რომელიც 4 მარტს გაიმართება) მაგალითზე განვიხილოთ. „მალმიოს“ უპირატესობა ორმა სპეციალისტმა (20 პროცენტი) აღნიშნა. ხუთს მიაჩნია, რომ შეხვედრა ფრედ დამთავრდება (50 პროცენტი), სამი სპეციალისტი კი უპირატესობას „აიაქსს“ ანიჭებს (30 პროცენტი).

ვთქვათ რაიმე მიზეზის გამო არ შედგა ცხრილში შეტანილი მატჩი. მაშინ ლოტორეაში მონაწილეობს „სპორტპროგნოზის“ საკავშირო საბჭოს წევრთა აზრი. აი, მაგალითიც: არ შედგა იმავე „მალმიოსა“ და „აიაქსის“ ფეხბურთელთა შეხვედრა. არა და სპეციალისტთა 20-მა პროცენტმა (ორი ხმა) „მალმიოს“ გამარჯვება, 50-მა პროცენტმა (ხუთი ხმა) ფრე და 30-მა პროცენტმა (3 ხმა) „აიაქსის“ გამარჯვება აღნიშნა. ეს მონაცემები იდება სპეციალურ საბრუნავ-დისკში და რომელზეც შეჩერდება არჩევანი, ტირაჟში გამარჯვებულად ის შედეგი ჩაითვლება.

## ახალი ტირაჟის წყვილები

**„სპორტპროგნოზის“ მომდევნო ტირაჟს მეათე ნომერი აქვს მიკუთვნებული (აქ მხედველობაში მიიდება ხსვა სპორტული ლოტორეების რიგითი ნომრები).**

| | |
|---|---|
| 1. კალათბურთი. „უალგირისი“ — ცსკა, | 7. III. |
| 2. წყალბურთი. „დინამო“ (ალმა-ათა) — „უნივერსიტეტი“ (მოსკოვი), | 7. III. |
| 3. ფეხბურთი. ცსკა — „დინამო“ (მინსკი), | 9. III. |
| 4. ფეხბურთი. „გურია“ — „დინამო“ (კიევი), | 9. III. |
| 5. ფეხბურთი. „ნეფთჩი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი), | 9. III. |
| 6. ფეხბურთი. „დნეპრი“ — „ქაირათი“, | 10. III. |
| 7. ფეხბურთი. „შახტიორი“ — „ზენიტი“, | 10. III. |
| 8. ფეხბურთი. „დინამო“ (თბ.) — „სპარტაკი“ (მ.), | 10. III. |
| 9. ფეხბურთი. „არარატი“ — „მეტალიხტი“, | 10. III. |
| 10. ჰოკეი. „დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი), | 10. III. |
| 11. ჰოკეი. „სოკოლი“ (კიევი) — „ტრაქტორი“ (ჩელიაბ.), | 10. III. |
| 12. ბურთიანი ჰოკეი. „კუზბასი“ (კემეროვო) — „დინამო“ (ა-ათა), | 8. III. |
| 13. ბურთიანი ჰოკეი. „სტროიტელი“ (სიქტივკარი) — „ზორკი“ (კრასნოგორსკი), | 11. III. |

## კალეიდოსკოპი

### უნგრელთა გამოცდილებას იზიარებენ

როგორც ცნობილია, ავტომობილისტთა ყველაზე პოპულარული შეჯიბრების „ფორმულა-1-ის“ შარშანდელი ეტაპი უნგრეთში გაიმართა და სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. უნგრელი ავტომობილისტების გამოცდილების გაზიარება სურს ვენესუელის ავტომობილისტთა კავშირს, რომელმაც წლევანდელ შეჯიბრებას უნდა უმასპინძლოს.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ბერნარ ეკლსტოუნის განცხადებით, ამ ეტაპის ტრასა მოეწყობა ზღვის სანაპიროზე, ერთ-ერთი პოპულარული კურორტის ცენტრში, რომელიც კარაკასიდან 300 კილომეტრითაა დაშორებული. ტრასის დასათვალიერებლად ვენესუელას ეწვევიენ უნგრელი სპეციალისტები, რომლებმაც ადგილობრივ რელიეფს მაღალი შეფასება მისცეს.

### სამოყვარულო ხელბურთის დასაცავად

ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის (იგფ) პრეზიდენტი ერვინ ლანკი (ავსტრია) მტკიცედ იცავს სამოყვარული სპორტის ტრადიციებს და ყველა ეროვნულ ორგანიზაციას მოუწოდებს მხარი დაუჭიროს მას. ლანკის აზრით: „ხელბურთი სამოყვარულო სპორტია და ასეთად უნდა დარჩეს“.

პრეზიდენტი არ უარყოფს, რომ ხელბურთის წესები გადასინჯვას საჭიროებს. იგი არც იმის წინააღმდეგია, რომ თამაშის ტემპი გაიზარდოს, თუმცა მისი განცხადებით ეს „ზედმეტ არევ-დარევას და ქაოსს შეიტანს თამაშში“.

### დოპინგის წინააღმდეგ

ნორვეგიის ოლიმპიურმა კომიტეტმა მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა იმ სპორტსმენებს, რომლებიც მაღალი შედეგების მისაღწევად რაიმე აღმგზნებ საშუალებას გამოიყენებენ. ჩვენ, ნათქვამია ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადებაში, 20 ფედერაციიდან 19 გვიუჭერს მხარს ეს იმასაც, რომ დოპინგის მიღებაში შემჩნეულ პიროვნებას სპორტში გამოსვლა საერთოდ აეკრძალება.

ეს კანონი არ შეეხება — იმათ, ვინც სტიმულატორების მიღებაში ადრე იყო შემჩნეული.

### ავსტრალია — ველოსიპედისტთა მეჯა

ავსტრალიაში ველოსიპედისტთა პირველი შეჯიბრება 1868 წელს (თითქმის 120 წლის წინ) სწორედ იმ სპორტულ კომპლექსზე ჩატარდა (ლაპარაკია „კრიკეტ-გრაუნდზე“), რომელიც 1956 წელს XVI ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს მასპინძლობდა.

მელბურნი ავსტრალიის ველოსიპედისტთა აღიარებული ცენტრია. პირველი სპეციალიზებული ველოკლუბი ამ ქალაქში 120 წლის წინ შეიქმნა. აქედან გავრცელდა სპორტის ეს სახეობა სიდნეიში, ადელაიდაში, პერტში, ბრისბენში და კუნძულ ტასმანიაზე. მელბურნში გაიმართა ავსტრალიის ველოსიპედისტ ქალთა პირველი შეჯიბრებაც, ეს მოხდა 1888 წელს.

ერთი სიტყვით, „მწვანე კონტინენტს“ საკმაოდ დიდი ტრადიციები აქვს და ალბათ ამიტომაც აღწევენ ავსტრალიელი ველოსიპედისტები წარმატებებს საერთაშორისო სარბიელზე. მხედველობაში გვაქვს ქვეყნის სპორტსმენთა მიერ მოპოვებული ხუთი ოლიმპიური და 20 მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი.

### მეორე ადგილზე საბჭოთა კავშირის შემდეგ

დასავლეთგერმანული სპორტული ჟურნალის „შპორტ ილუსტრიტეს“ კლასიფიკაციით გფრ მეორე სპორტული ქვეყანაა მსოფლიოში საბჭოთა კავშირის შემდეგ და იგი ამ მხრივ უსწრებს აშშ-ს, გდრ-ს, იტალიასა და საფრანგეთს.

ჟურნალი თავის მოსაზრებას სპორტის ყველა სახეობაში საუკეთესოთა ათეულების (მოყვარულთა და პროფესიონალთა) დაპირისპირებით ასაბუთებს. სულ განხილულია სპორტის 32 სახეობა და ყოველ მათგანს შესაბამისი კოეფიციენტი აქვს მიცემული. ამ კლასიფიკაციის მიხედვით გფრ მეორე ადგილზე გაიყვანა ჩოგბურთელების ბორის ბეკერისა და შტეფი გრაფის, გოლფის მოთამაშის ბერნჰარდ ლანგერის და მოცურავე მიჰაელ გროსის მიერ საერთაშორისო სარბიელზე მოპოვებულმა წარმატებებმა.



## კალეიდოსკოპი

### ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 22 თებერვალი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1);** რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (1);** „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **10.15 (1);** სტუდენტთა ზამთრის მსოფლიო თამაშები: სამთოსათხილამურო სპორტი (გადაცემა ჩეხოსლოვაკიიდან) — **21.15 (2).**

**23 თებერვალი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სტუდენტთა ზამთრის მსოფლიო თამაშები: სამთოსათხილამურო სპორტი (გადაცემა ჩეხოსლოვაკიიდან) — **20.35 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 22 თებერვალი.** ფეხბურთელთა მე-13 მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი: არგენტინა — გფრ — **12.45.**

**23 თებერვალი.** კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი: „უალგირისი“ (კაუნასი) — „დინამო“ (თბილისი). 22 თებერვლის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი — **21.20.**

**საქართველოს რადიო. 22 თებერვალი.** კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი: „უალგირისი“ (კაუნასი) — „დინამო“ (თბილისი) — **21.45.**

„ოქროს ბურთის“ ლაურეატები

# რეკორდსმენი

**კიევის** „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების თავდამსხმელი ოლეგ ბლოხინი თავისი მაჩვენებლების მიხედვით მართლაც უძლიერესია საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში. ამ შესანიშნავმა სპორტსმენმა გააუმჯობესა სამამულო ფეხბურთის თითქმის ყველა რეკორდი. ამ რეკორდებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სამი: 1985 წელს ბლოხინმა, პირველმა საბჭოთა ფეხბურთელთაგან, გაიტანა თავისი მე-200 გოლი საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში, 1986 წელს კი ჩაატარა მე-100 შეხვედრა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ ბლოხინმა შარშანდელ სეზონში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატებში ჩატარებული მატჩების რიცხვით 400-იან ზღურბლს გადააბიჯა და სავარაუდოა, რომ წლეულს ამ მაჩვენებლის მიხედვითაც ყველას გაუსწრებს (ჯერჯერობით პირველ ადგილზეა მოსკოვის „ტორპედოს“ ყოფილი მოთამაშე ვიქტორ შუსტიკოვი — 427 მატჩი).

ამ რეკორდებს საფუძველი 70-იანი წლების დასაწყისში ჩაეყარა, როცა ოლეგ ბლოხინი პირველად გამოჩნდა კიევის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში. ბლოხინი საკმაოდ ახალგაზრდა დაწინაურდა. ეს ალბათ იმითაც იყო განპირობებული, რომ იგი სპორტულ ოჯახში გაიზარდა (დაიბადა კიევში 1952 წლის 5 ნოემბერს): ოლეგის მშობლები ძველი სპორტსმენები არიან. მომავალი რეკორდსმენი თავიდანვე მიეჩვია მკაცრ სპორტულ რეჟიმს და კიევის „დინამოს“ ბავშვთა გუნდში, რომელშიც იგი 1962 წელს ჩაირიცხა, თანატოლებში იმთავითვე გამოირჩეოდა კარგი ფიზიკური მონაცემებით. ოლეგი წმინდა საფეხბურთო ოსტატობის თვალსაზრისითაც მალე იზრდებოდა და 18 წლისა კიევის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა; კიდევ ორი წლის შემდეგ იგი საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდშიც მიიწვიეს. ახალგაზრდა ფეხბურთელის მთავარი კოზირი დიდი სისწრაფე იყო. 1975 წელს კიევის დინამოელებმა მწვრთნელ ვალერი ლობანოვსკის ხელმძღვანელობით შეძლეს ისეთი ტაქტიკური სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ამ სახიფათო ფორვარდის საუკეთესო თვისებების მაქსიმალურად გამოყენების საშუალებას იძლეოდა. მაღალი კლასის ნახევარმცველების მუნტიანის, ვერემეევის; კოლოტოვისა და ბურიაკის, აგრეთვე ეფექტიანი თავდამსხმელის ონიშჩენკოს მხარდაჭერით ბლოხინმა არაერთი ბრწყინვალე თამაში ჩაატარა, ხოლო მას შემდეგ, რაც კიეველებმა თასების მფლობელთა თასი და სუპერთასი დაისაკუთრეს, ჟურნალისტებმა „ფრანს ფუტბოლის“ ტრადიციულ გამოკითხვაში ოლეგ ბლოხინი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. 1973-1975 წლებში ბლოხინი ზედიზედ სამჯერ აღიარეს საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად. საერთოდ, 70-იანი წლების დასაწყისი ამ სპორტსმენისთვის ნამდვილი ოქროს ხანა იყო: 1974 წელს კიევის „დინამომ“ ქვეყნის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა და საბჭოთა კავშირის თასიც, 1975 წელს კი კვლავ ოქროს მედლები დაიმსახურა. გარდა ამისა, ბლოხინი ზედიზედ ოთხჯერ გახდა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი (1972, 1973, 1974, 1975). როგორც ხედავთ, 1975 წელს მოპოვებული „ოქროს ბურთი“ ბლოხინის წარმატებათა თავისებური ლოგიკური დაგვირგვინება იყო.

მომდევნო წლებში საბჭოთა კავშირში კიდევ ერთი საერთაშორისო კლასის ვარსკვლავებით დაკომპლექტებული ძლიერი გუნდი გამოჩნდა — თბილისის „დინამო“. კიეველებმა ერთგვარად დათმეს პოზიციები. მართალია, 1977 წელს ბლოხინი კიდევ ერთხელ გახდა საკავშირო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. მაგრამ ეს უკვე ეპიზოდი იყო. კიევის „დინამოს“ დაუდგა ნებისმიერი სპორტული კოლექტივისთვის გარდაუვალი პერიოდი: გუნდი თაობათა ცვლის მტკივნეულ პროცესს განიცდიდა. შემადგენლობა მთლიანად გადახალისდა. ძველი „გვარდიიდან“ მწყობრში დარჩა ერთი კაცი — ოლეგ ბლოხინი.

1985 წელს კიეველებმა დაიბრუნეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული. შემდეგ მათ საბჭოთა კავშირის თასიც დაისაკუთრეს და შარშან მეორედ გაიმარჯვეს თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში. 34 წლის ვეტერანი ოლეგ ბლოხინი, ისევე როგორც თერთმეტი წლის წინ, კვლავ მოწინავეთა შორის იყო და თავისზე ბევრად ახალგაზრდა თანაგუნდელებს არაფერში უდებდა ტოლს.

ახლა ბლოხინი გულმოდგინედ ემზადება ახალი სეზონისთვის. იგი ინარჩუნებს ჩვეულ სპორტულ ფორმას და ევროპის 1988 წლის ჩემპიონატში აპირებს თამაშს, წინ არის არაერთი საინტერესო მატჩი.

ზურაბ ფოცხვერია.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096.**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი: 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06784

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**